№2171 2013 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

2014 წლის განმავლობაში კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე დროებით სარგებლობაში გადაცემაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სახელმწიფო ქონება – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრული ვადით სარგებლობაში გადასცეს კერძო სამართლის იურიდიულ პირებს – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრული კატეგორიის მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მიზნით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**